

საერთაშორისო კონფერენცია

საზოგადოება და ისტორიული გარემო

კონფერენციის მასალები

International Conference

Community and Historic Environment

Proceedings

თბილისი 2012 Tbilisi

საერთაშორისო კონფერენცია

"საზოგადოება და ისტორიული გარემო"

20-22 სექტემბერი, 2011

კონფერენციის მასალები

International Conference

COMMUNITY AND HISTORIC ENVIRONMENT

20-22 September, 2011

Proceedings

ICOMOS საქართველო
ICOMOS Georgia
2012

პროექტი დააფინანსა ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ
The project is funded by Ministry of Foreign Affairs of Norway

კონფერენციის ორგანიზატორები:
Organisers of the Conference:

ICOMOS საქართველო
ICOMOS Georgia. http://icomos.org.ge

ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატის (Riksantikvaren)
Riksantikvaren (Cultural Heritage Directorate of Norway). http://www.riksantikvaren.no

კონფერენციის პარტნიორები:
Partners of the Conference:

ბრიტანეთის საბჭო, საქართველო
British Council, Georgia. http://www.britishcouncil.org/ge

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
National Parliamentary Library of Georgia. http://www.nplg.gov.ge/

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი
G. Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History and Heritage Preservation. http://gch-centre.ge

პროექტის ხელმძღვანელი - მერაბ ბოჭოიძე ICOMOS საქართველო
Project Leader - Merab Bochoidze ICOMOS Georgia

თარგმანი - მანანა თევზაძე, მიხეილ ნიშნიანიძე, მარინე ყენია, ნატო ცინცაბაძე
Translation - Marine Kenia, Michael Nishnianidze, Manana Tevzadze, Nato Tsintsabadze

კომპიუტერული დიზაინი - თამაზ ჩხაიძე
Computer design - Tamaz Chkhaidze

ავტორთა სტილი დაცულია
Authors' texts are presented as submitted by the authors

ICOMOS საქართველო
ბეთლემის აღმართი 16 ბ
0105 თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 298 45 27
ელ-ფოსტა: icomosge@gol.ge
http://www.icomos.org.ge

ICOMOS Georgia
16B, Betlemi ascent
0105 Tbilisi, Georgia
tel.: (+995 32) 298 45 27
e-mail: icomosge@gol.ge
http://www.icomos.org.ge

© ICOMOS საქართველო. ICOMOS Georgia. 2012
© Authors. ავტორები. 2012
All copyright issued on the images are responsibility of the authors

ISSN 1987-8265

UDC (უაკ) 7.025+351.85
ს-174

ოლენა ოლეინიკ
უკრაინის არქიტექტორთა ეროვნული
კავშირის ვიცე-პრეზიდენტი

კიევის წმ. სოფიას ტაძრის და მასთან დაკავშირებული სამონასტრო შენობების ბუფერულ ზონაში ურბანული რეკონსტრუქციის პროექტების ორგანიზაციის პრინციპები

წმინდა სოფია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი, კიევის რუსეთის პერიოდის მთავარი საკათედრო ტაძარი და კიევის ცენტრალურ ნაწილში მდებარე არქიტექტურის თვალსაჩინო ძეგლია. 1037 წელს აგებული და 1688 წელს უკრაინული ბაროკოს სტილში აღდგენილი ტაძარი შედგება 13 გუმბათისაგან. თავად ტაძრის და მისი მიმდებარე შენობების გარდა შემორჩენილია ინტერიერის ზოგიერთი ნაწილი, კერძოდ: 260 კვადრატული მეტრი მოზაიკის პანელები და დაახლოებით 3000 კვადრატული მეტრი ფრესკები.

ტაძრის გარდა, არქიტექტურული ნაკრძალის ტერიტორია მოიცავს კიდევ 11 შენობას, მათ შორის, მე-18 საუკუნეში პოლტავის ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავად აგებულ სამრეკლოს, სატრაპეზოს, ბერების საცხოვრებელს და სენაკებს. ეკლესიასთან ერთად სამრეკლო ქმნის სოფიისკას მოედნის არქიტექტურულ ანსამბლს. ძირითადი ვიზუალური ხაზი წმ. სოფიას მე-12 საუკუნეში აგებულ, 1937 წელს დანგრეულ და 1997 წელს აღდგენილ წმ. მიხეილის ოქროს გუმბათების ტაძართან აკავშირებს. წმ. სოფიას სამრეკლოდან იშლება წმ. მიხეილის ხედი. ეს ორი კათედრალი ერთმანეთს ერწყმის და ქალაქის მთავარი ქუჩის, ხრეშჩატიკის შორეული კუთხიდან დანახული ქმნის ქალაქის ზედა ნაწილის ერთიან პანორამას.

Panorama Mihailovsky Goldendomes Cathedral
მიხეილის ოქროსგუმბათოვანი კათედრალის პანორამა

Photo: Oliynyk. ფოტო: ოლეინიკი

Olena Oliynyk
Vice-president of National Union of Architects
of Ukraine

THE PRINCIPLES OF ORGANIZING URBAN REDEVELOPMENT PROJECTS IN THE BUFFER ZONE OF THE ST. SOPHIA CATHEDRAL AND RELATED MONASTIC BUILDINGS IN KIEV

Saint Sophia is a UNESCO site, the main church of Kievan Rus, and the principal architectural monument in the central part of Kiev. Built in 1037 and rebuilt in the Ukrainian Baroque style in 1688, it has 13 domes. In addition to the cathedral itself and adjacent buildings, some of the interiors have been preserved: 260 square meters of mosaic panels and about 3000 square meters of frescoes.

Apart from the cathedral, the territory of the architectural reserve includes another 11 buildings, among them the bell tower erected in the early 18th century to mark the victory in the Battle of Poltava, the refectory, the brethren's building, and the cells. Together with the church, the bell tower forms the architectural ensemble of Sofiyska Square. The main visual axis connects St. Sophia with the St. Michael's Cathedral of Golden Domes, which was built in the 12th century, demolished in 1937 and rebuilt in 1997. A view on St. Michael's opens from St. Sophia's bell tower. The two cathedrals tie together into a sweeping panorama of the Upper Town as seen from the far side of Khreshchatyk, the city's main street.

The buffer zone of the World Heritage site St. Sophia Cathedral with its complex of monastic buildings occupies an area of 111 hectares in downtown Kiev and is an important element of the city's current conservation zone. Its territory includes the so called Upper Town and a part of the architectural and archeological protected zones of "Prince Yaroslav's City." While the declared regime of the buffer zone meets the requirements of the Law of Ukraine On the Protection of the Cultural Heritage and international agreements about conserving immovable cultural heritage, the real situation around this cultural monument of world significance is rather complicated.

Firstly, the buffer zone lies inside the city's administrative, commercial and cultural center. Centrally located, it is oversaturated with residential housing, commercial and administrative buildings.

Since the existing transport infrastructure does not provide for the creation of pedestrian areas, the streets, sidewalks and even public gardens are oversaturated with public and private transport, unauthorized parking, etc.

Secondly, the buffer zone is the responsibility of the Ministry of Construction and Architecture - an agency which is interested in stepping up down-

მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის წმ. სოფიას საკათედრო ტაძრის ბუფერულ ზონას მის სამონასტრო შენობების კომპლექსთან ერთად კიევის ცენტრში 111 ჰექტარი უკავია და ქალაქის არსებული კონსერვაციის ზონის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მისი ტერიტორია მოიცავს ე.წ. "ზემო ქალაქს' და "თავადი იაროსლავის ქალაქის' დაცული არქიტექტურული და არქეოლოგიური ზონების ნაწილს. მიუხედავად იმისა, რომ ბუფერული ზონის დეკლარირებული რეჟიმი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ უკრაინის კანონის და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნებს აკმაყოფილებს, ამ მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული მონუმენტის ირგვლივ არსებული რეალური ვითარება საკმაოდ რთულია.

უპირველეს ყოვლისა, ბუფერული ზონა მდებარეობს ქალაქის ადმინისტრაციულ, კომერციულ და კულტურულ ცენტრში. ქალაქის ცენტრში მდებარეობის გამო იგი გადატვირთულია საცხოვრებელი სახლებით, კომერციული და ადმინისტრაციული შენობებით.

ვინაიდან არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ფეხით მოსიარულეთა ზონების შექმნის საშუალებას არ იძლევა, ქუჩები, ტროტუარები და საზოგადოებრივი პარკებიც კი საზოგადოებრივი და კერძო ტრანსპორტით, უკანონო ავტოსადგომებით და ა.შ. არის გადატვირთული.

მეორეს მხრივ, ბუფერული ზონა მშენებლობის და არქიტექტურის სამინისტროს დაქვემდებარებიაშია - იმ უწყების, რომელიც ქალაქის ცენტრალური ნაწილის ინტენსიური განაშენიანებით და არა ძეგლების კონსერვაციისათვის საჭირო პირობების შექმნით არის დაინტერესებული. მშენებლობის სიმჭიდროვე ძალიან მაღალია.

და ბოლოს, აღნიშნულ ზონაში მდებარე ადგილობრივი მნიშვნელობის უამრავი ძეგლი საჭიროებს ყოველმხრივ გადაუდებელ რესტავრაციას, რისთვისაც ხელისუფლებას არც სახსრები და არც სურვილი არ გააჩნია. კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ამ განაშენიანებული ტერიტორიის შერეული ფუნქციონალური დატვირთვა, სადაც ძირითადი აქცენტი დამხმარე ინფრასტრუქტურას მოკლებულ საცხოვრებელ და ადმინისტრაციულ შენობებზე კეთდება.

ასეთ პირობებში, უკრაინის არქიტექტორთა ეროვნული კავშირის და უკრაინის არქიტექტურის აკადემიის მიერ ჩატარებული იქნა საპროექტო ტენდერები, რომელთა მიზანი იყო ბუფერული ზონის რევალორიზაციის ძირითადი პრინციპების დადგენა. ბოლო ასეთი

Saint Sophia. Photo: State Register of Ukrainian Monument
წმ. სოფია. ფოტო: უკრაინის ძეგლთა სახელმწიფო რეესტრი

town construction rather than creating conditions for monument conservation. The building density is very high.

Thirdly, the poor condition of numerous architectural monuments of local significance in this area calls for their urgent comprehensive restoration, for which the authorities have neither the funds nor the will. Another major problem is the mixed functional use of this built-up area, with heavy emphasis on housing and administrative buildings lacking supportive infrastructure.

Under these conditions, the National Architects Union of Ukraine and the Ukrainian Academy of Architecture initiated a number of design competitions to determine the basic principles of revalorization of the buffer zone. The latest of these competitions took place in 2007. The first prized was awarded to a design directed by our architectural group.

The main provisions of the designs were as follows: within the buffer zone, the St. Sophia's architectural ensemble should be regarded as the architectural and spatial core of the integral historic town-planning process as a result of which the Upper Town emerged; the traditional character of urban environment should remain prevalent throughout the entire territory of the buffer (protected) zone of the architectural ensemble; new additions should be subordinated to and organically combined with it; and the maximum permissible height of buildings, newly built or heightened, may not exceed that of adjacent historic ones, that is 12 to 25 meters.

The next step in regulating development in the area was to determine the so-called "blue lines" - the development height limit for the highest-risk neighborhoods. Within the framework of town-planning requirements (Phase One), it was proposed to set height restrictions on new development in absolute values according to the Baltic Coordinate System.

It should be noted that far from all counties use "blue lines" in regulating urban development. However, the present-day situation with architectural conservation in Ukraine is so anarchic that it requires

ტენდერი ჩატარდა 2007 წელს. პირველი პრემია ჩვენი არქიტექტორების ჯგუფის მიერ შემუშავებულ პროექტს ერგო.

წარმოდგენილი პროექტების ძირითადი პირობები იყო შემდეგი: ბუფერულ ზონაში წმ. სოფიას არქიტექტურული ანსამბლს ცენტრალური ადგილი უნდა ეკავოს ერთიანი ისტორიული ქალაქგეგმარების პროცესის არქიტექტურულ და სივრცითი მოწყობის ნაწილში, რამაც ბიძგი მისცა ზემო ქალაქის წარმოშობას; ურბანული გარემოს ტრადიციული სახე პრიორიტეტულად უნდა დარჩეს არქიტექტურული ანსამბლის ბუფერული (დაცული) ზონის მთელ ტერიტორიაზე; ახალი მშენებლობები უნდა დაექვემდებაროს და ორგანულად შეერწყას მას; და ახლად აშენებული ან მაღლივი შენობების მაქსიმალური დასაშვები სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს მიმდებარე ისტორიული შენობებისას, კერძოდ 12-25 მეტრს.

აღნიშნულ ტერიტორიის განვითარების რეგულირების შემდგომ ნაბიჯს წარმოადგენდა ე.წ. „ლურჯი ხაზებს" - ყველაზე მაღალი რისკის მატარებელ მომიჯნავე ტერიტორიებზე შენობა-ნაგებობების დასაშვები სიმაღლის დადგენა. ქალაქგეგმარების მოთხოვნების (I ფაზა) ფარგლებში შეთავაზებული იქნა ახალი შენობა-ნაგებობებისათვის სიმაღლის შეზღუდვების დაწესება აბსოლუტური სიდიდეების გამოყენებით, ბალტიურ კოორდინატთა სისტემის შესაბამისად.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ქვეყანა როდი იყენებს „ლურჯ ხაზებს" ურბანული განვითარების რეგულირების მიზნით. მიუხედავად ამისა, ამჟამად, არქიტექტურული კონსერვაციის კუთხით სიტუაცია უკრაინაში იმდენად ქაოტურია, რომ იგი საჭიროებს ყოველი ქუჩისა და შენობის დეტალურ გრაფიკულ გამოსახულებას. შემდგომი ნაბიჯი ამ ტერიტორიის რევალორიზაციის დეტალური გეგმის შემუშავებაა.

ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე არქიტექტურის დამახინჯება: გარემომცველი შენობები მნიშვნელოვნად გასხვავდები-

detailed graphic representations for every street and building. As the next step, a comprehensive revalorization plan should be developed for the area.

Architectural eyesores are also a problem: The surrounding buildings differ greatly in bulk, scale, appearance and quality. Historical and architectural value of the buildings in the area is high - more than 100 buildings are in the local heritage list.

The priority tasks of reconstruction and regeneration of St. Sophis's protected area should be:

1. to renovate the historical environment of the city's core area, in part, to recreate the lost monuments, elements of the buildings, and small-scale features of urban environment;
2. to locate a museum in the so-called Offices Building and encourage tourism ;
3. to build an underground throughfare from Mykhailivska Street to Zhytomyrska Street, complete with car parks under Volodymyrsky Drive, using automated multilayer parking systems;
4. to demolish or re-design incongruous buildings by reducing their height, changing their front facing and/or décor, or using graffiti; and
5. to carry out landscape re-design of Volodymyrsky Drive and Peizazhna (Scenic) Walkway.

For five years now, groups of students have monitored, photographed and explored the adjacent area, doing very important work. We give them the following tasks:

a. creating a number of top view points in the protected area along its perimeter;
b. comprehensive block-by-block analysis of built-up area.

As their yearly projects, they do various neighborhood improvement projects in the buffer zone. The topics vary from creating sculpted features and semantic signage to designing recreation areas.

The main effort in the development of this part of the city amounts to preserving its historical environment and regenerating its historical buildings and landscape, including:

- Restoring all architectural landmarks to their original design, complete with façade décor, shop windows, balcony gratings, gates, lost decorative cupolas and pinnacles, etc.;
- Overhauling key older buildings and tidying up adjacent area;

ან მოცულობით, მასშტაბით, გარეგნობით და ხარისხით. ეს შენობები მაღალი ისტორიული და არქიტექტურული ღირებულებით გამოირჩევიან - მათგან 100-ზე მეტი შენობა ადგილობრივი მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი.

წმ. სოფიას დაცული ტერიტორიის რეკონსტრუქციის და რეგენერაციის პრიორიტეტულ ამოცანებს უნდა წარმოადგენდეს:

1. ქალაქის ცენტრალური უბნის ისტორიული გარემოს განახლება, მათ შორის, დაკარგული ძეგლების, შენობათა ელემენტების და ურბანული გარემოს წვრილმანი დეტალების გაცოცხლება;
2. ე.წ. საოფისე შენობებში მუზეუმის განთავსება და ტურიზმის პოპულარიზაცია;
3. მიწისქვეშა გადასასველების გაყვანა მიხაილივსკას ქუჩიდან ჟიტომირსკას ქუჩამდე, ვოლოდიმირსკის გზატკეცილის ქვეშ ავტოსადგომის მოწყობით და მრავალსართულიანი ავტომატიზირებული პარკინგის სისტემების გამოყენებით;
4. შეუთავსებადი შენობების დემონტაჟი ან რეკონსტრუქცია მათი სიმაღლის შემცირებით, ფასადში და/ან დეკორში ცვლილებების განხორციელებით ან კედლების მოხატვით; და
5. ვოლოდიმირსკის გზატკეცილის და პეიზაჟნა (პეიზაჟური) ხეივანის ლანდშაფტური რეკონსტრუქცია.

უკვე ხუთი წელია, რაც სტუდენტთა ჯგუფები მიმდებარე ტერიტორიის მონიტორინგს, ფოტოგრაფირებას და კვლევას ახორციელებენ, რითაც უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ. ჩვენ მათ ვაძლევთ შემდეგ დავალებებს:

ა) ააგონ დაცული ტერიტორიის და მისი პერიმეტრის ჰორიზონტალური პროექციები;

ბ) განახორციელონ განაშენიანების ტერიტორიის დეტალური ანალიზი კვარტლების მიხედვით.

მათი ყოველწლიური პროექტების ფარგლებში ისინი ბუფერულ ზონებში მეზობელი

- Re-creating interior design in residential landmarks to its original appearance - a desirable option;
- Conserving the remaining historic environment and re-creating the most valuable lost elements, heightening the visibility of sites of historical/archeological interest by means of replanning and streamlining;
- Installing way-marking signage where authentic markers have been lost completely; and
- Incorporating individual new buildings in a tactful way.

Information panels and decorative/festive accent lighting, using semantic signage.

Small but important accents as different as flower kiosks and municipal sewage lids.

Community organizations, in part, local residents groups, have lately been playing an increasingly prominent and active role. One such community initiative has been the Sculpture Park project on Scenic Walkway. It is very popular with adults and children.

The Artists Union of Ukraine has formally declared the landscape park area on the corner of Peizazhna Walkway and Desiatynny Lane a work of art.

Other community organizations and NCOs are also playing an important role in the revalorization of the St. Sophia protected area. The independent press has managed to stop several construction projects in the center of the city. A number of initiative groups are active in protecting and improving individual areas such as Peizazhna Walkway and Khmelnytsky Street with its architectural monuments.

Today, it is a favorite walking place with visitors and local residents. It is likely to become an example of successful cooperation of community groups and professionals in the field of heritage conservation.

Every bit of international support, especially when it comes from authoritative cultural and professional political bodies, is of tremendous importance to these efforts.



წმ. სოფიას ბუფერული ზონის რევოლარიზაცია, პროექტი. ვლადიმირის შესახვევი. ლურჯი ხაზები

რაიონების კეთილმოწყობის სხვადასხვა პროექტებს ახორციელებენ. თემატიკა მრავალფეროვანია და როგორც სკულპტურული ძეგლების და სემანტიკური ნიშნების, ასევე რეკრეაციული ტერიტორიების დაპროექტებას მოიცავს.

ქალაქის ამ ნაწილის განვითარების უმთავრესი მიზანი მისი ისტორიული გარემოს შენარჩუნება და ისტორიული შენობა-ნაგებობების და ლანდშაფტის რეკონსტრუქციაა, კერძოდ:

- ყველა არქიტექტურული ღირშესანიშნაობის თავდაპირველი პროექტის, მათ შორის, ფასადის დეკორის, ვიტრინების, აივნის ცხაურების, შესასვლელების, დაკარგული დეკორატიული გუმბათების და კოშკების და ა.შ. აღდგენა;
- ძველი მნიშვნელოვანი შენობების კაპიტალური შეკეთება და მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება;
- საცხოვრებელი ღირშესანიშნაობების ინტერიერის პროექტის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა - სასურველი ვარიანტი;
- დარჩენილი ისტორიული გარემოს კონსერვაცია და ყველაზე მეტად ღირებული დაკარგული ელემენტების რეკონსტრუქცია, ისტორიული/არქეოლოგიური ძეგლების ვიზუალური სახის გაუმჯობესება ხელახალი დაგეგმარებისა და გარეგნული იერის ტრანსფორმაციის გზით;
- ძველი დაკარგული საგზაო ნიშნების ახლით შეცვლა და
- ახალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების აშენება სიფრთხილის და წინდახედულობის დაცვით.

საინფორმაციო დაფები და დეკორატიული/სადღესასწაულო განათება სემანტიკური ნიშნების გამოყენებით.

მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი აქცენტები, დაწყებული ყვავილების ჯიხურებით და დამთავრებული ქალაქის საკანალიზაციო ჭების სახურავებით.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათ შორის, ადგილობრივი მოსახლეობის ჯგუფები აღნიშნულ პროცესში სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან და აქტიურ როლს თამაშობენ. ერთ-ერთ ასეთ საზოგადოებრივ ინიციატივას პეიზაჟურ ხეივანზე სკულპტურული პარკის მოწყობის პროექტი წარმოადგენს, რომელიც მოზარდებსა და ბავშვებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს.

პეიზაჟნა ხეივანის და დესიატინნი შესახვევის კუთხეში არსებული ლანდშაფტური პარკის ტერიტორია უკრაინის მხატვართა კავშირის მიერ ოფიციალურად იქნა აღიარებული ხელოვნების ნიმუშად.

სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციებიც ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ წმ. სოფიას დაცული ტერიტორიის რევალორიზაციაში. დამოუკიდებელმა პრესამ შეძლო შეეჩერებინა ქალაქის ცენტრში მიმდინარე რამდენიმე სამშენებლო პროექტი. მთელი რიგი საინიციატივო ჯგუფები აქტიურად არიან დაკავებულები კერძო ტერიტორიების, მათ შორის, პეიზაჟნა ხეივანის და ხმელნიცკის ქუჩის და იქ არსებული არქიტექტურული ძეგლების დაცვით და კეთილმოწყობით.

ამჟამად, იგი სტუმრების და ადგილობრივი მაცხოვრებლების საყვარელი სასეირნო ადგილია. სავარაუდოდ, იგი კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის სფეროში საზოგადოების ჯგუფებსა და დარგის პროფესიონალებს შორის წარმატებული თანამშრომლობის მაგალითი გახდება.

ნებისმიერი სახის საერთაშორისო დახმარებას, განსაკუთრებით ავტორიტეტული კულტურული და პროფესიული პოლიტიკური ორგანიზაციების მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული ძალისხმევების რეალიზაციის საქმეში.